სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

21 მაისი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 62

„მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის "ლეონარდო და ვინჩი" გამოცხადების და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის N 11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N 549140, 20.05.2025) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის "ლეონარდო და ვინჩი" გამოცხადების და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის N 11 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ე) კონკურსის პირობების დაცვით, პირველ ეტაპზე წარმოდგენილი განაცხადების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ - მაისი-ივნისი."

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერებების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებ გვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებ გვერდზე განთავსებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი N 64)

თეიმურაზ დოჭვირი